ხუთშაბათი, 2 მაისი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 94

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებზე პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ"

## „ისარი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ

„ისარი"-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ მაისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც სამ მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 3 მან. 50 კაპ. მეტი

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მ. 60 კ. ტფილისს გარედ—5 მ. 30 კ., საზღვარ-გარედ—8 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75, ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მ. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი. სხვა ადგილას—ორი აბაზი.

### ნამდვილი კახური ღვინო




ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—57)

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თგ.)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—93

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (35)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—41)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—101)

## სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
**ტფილისში**
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ბუნიატოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. კიმონძე:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**ბ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—58

ქ. ქუთაისში
**ექიმი დ. ვ. ფანცხავა**

იღებს საბებიო, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიასი (25—კვ —2)

ქ. ქუთაისში
**ბავშვების ექიმი ბადრიძე**

ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციაშვილისა. (25—ფ.—13)

ექიმი
**კ. ი. ბძელიშვილი**

იღებს **ყურის, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწუღოვისა. (25—19)

## ქ. ქუთაისში

საზოგადო საკრებულოს დარბაზში, 6 მაისს, კვირას, დღისით 12 საათზე. **ალ. ივ. ნათაძე** წაიკითხავს ქართულად **პედაგოგიურ ლექციას**, ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. (3—უ.—1)

ქუთაისის ქალაქის
## გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1907 წლის მაისის 9-სთვის, დღის 12 საათზე, გამგეობის დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** სალორიის აგარაკში ქალაქის საავადმყოფოს ასაშენებლად. **ხარჯაღრიცხვისა და სხვა პირობების** გაცნობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის. (3—6 —3)

წ.-კითხვის საზოგ. და სხვა მაღაზიებში იყიდება ახალი გამოცემა მ. ჯანაშვილისა

## ნაშრომი

1. საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი ახალი „ქართლის ცხოვრება", 2. **ახალი ქართლის ცხოვრება** (გიორგი ბრწყინვალიდან გიორგი XI-მდე), 3. თვითონვე გვიწვევენ (შენიშვნები წერილის გამო „ქართული გრამატიკა მ. ჯანაშვილისა".)

**ფასი ერთი აბაზი**

გამოცემის მთელი შემოსავალი, სამაღაზიო %-ს გარდა, გადაეცემა „ქართ. საქველმ. საზ. გამგეობას" გაჭირვებულ მეგრელ გურულთა სასარგებლოდ.—იქვე და აგრეთვე ქუთაისში მაღაზია „კოლხიდაში" იყიდება მ. ჯანაშვილის „საქართ. ისტორია", „ქართ. გრამატიკა" და სხვ. გამოცემანი.

**შეცდომის გასწორება**. წაიკითხეთ: „ნაშრომ-ს" გვ. 5—დააარსეს, 74—გაცოხნილ, 75—დაეჩნიათ, 80 - travailleur, 83—წარსულის... მკრთალად. (10—უ.—4)

დილის წარმოდგენა
**ავლაბრის თეატრში**

კვირას 6 მაისს, 1907 წ. ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ **არტისტ** ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება თანამედროვე პიესა

## ამ დროის გმირები

სურათები ტფილისის ცხოვრებიდან. 5 მოქმ. ალ. ბაქრაძისა.

ბილეთების ფასი 2 მანეთიდან 10 კაპეიკამდის. ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში. ვისაც ორი აპრილის „რენესანის" თეატრის ბილეთები აქვ, შეუძლიან ისარგებლოს ექვს მაისის წარმოდგენით. წარმოდგენა დაიწყება დილის 12 საათზე. (3—უ.—2) გამგე **ალ. ბაქრაძე.**

## წიგნის მაღაზია
გრ. ცაგარეიშვილისა,
განოვის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 8
(მეტეხე სახლი ერევნის მოედნიდან)

**იყიდება ნახევარ ფასად** სრულიად ახალი რუსული წიგნები, გამოცემანი: „მოლოტი"-ს, „ნოვი მირი"-ს, „ამირანის" და სხვების. სხვათა შორის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები: ვანდერველდესი და დესტერის „სოციალიზმი ბელგიაში", იეკისა—„ინტერნაციონალი", ლისაგარესი—„პარიზის კომუნის ისტორია", მარქსისა—კლასთა ბრძოლა საფრანგეთში", ენგელსისა—„მუშების მდგომარეობა ინგლისში", ბაზაროვისა—„ანარქიული კომუნიზმი და მარქსიზმი", ფერრისა—„კოლექტივიზმი და პოზიტიური მეცნიერება", ვანდერველდესი—„სამრეწველო განვითარება და საზოგადოებრივი წეს-წყობილება" და მრავალი სხვა. მაღაზია ღიაა 9—2 ს. და 5—7 საათამდის. (3—უ—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო აცხადებს, რომ გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები მოხდება **აგვისტოში.**

თავისუფალ ადგილების რაოდენობა გიმნაზიურ კლასებში და მოსამზადებელ განყოფილებებში შემდეგ იქნება გამოცხადებული. (3—ნ.—1)




**ოდოლი, გამოჩენილ მეცნიერთა აზრით, წარმოადგენს კბილების ისეთს გამოსარეცხს, რომელიც ამ ჟამად ყველა საშვალებებზე უფრო შეეფერება კბილის ჰიგიენის მოთხოვნას.**

ერთი ფლაკონი, რომელიც რამდენსამე თვის საყოფია, 1 მამ. და 50 კაპ. ღირს

(2—№ 18—1 (Метцль и Ко 143014)

## ტფილისი, 3 მაისი

მთავრობის აგრარულს პროგრამაში სხვა და სხვა ღონისძიებათა შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს გადასახლებას. ანგარიში უბრალოა: რა-კი შიდა რუსეთში გლეხთ არ ყოფნით მიწა, რაც შეიძლება მეტი მათგანი გადასახლებულ იქმნას განაპირა ქვეყნებში „ინოროდცების" მიწებზეო. ამ პროგრამას ბეჯითად ასრულებს მთავრობა და ძალა უნებურად გაფიქრებინებთ, რომ „ინოროდცების" ზურგზე განუზრახავს აგრარულ საკითხის გადაწყვეტა. როცა საზოგადოება, პარლამენტი, პრესსა, როცა ყველანი ეუბნებიან, მიწის საკითხი ადგილობრივვე უნდა გადაწყდეს, რისთვისაც კერძო მემამულეთ უნდა ჩამოერთვას თვალუწვდენელი მამულებიო, მთავრობა დიდის რიხით გაიძახის „კერძო საკუთრება წმიდა უფლებაა და ხელუხლებელი უნდა იყოსო"; ბურჟუაზიულ ევროპის წინაშე თავიც მოაქვს, როგორც „კერძო საკუთრების წმიდა უფლების" დამცველს. მაგრამ მისი უბედურება ისაა, რომ არავინ ტყუვდება და ყველა ჰხედავს, რას ჰნიშნავს ეს თავგამოდებული დაცვა კერძო საკუთრებისა; ყველა ჰხედავს, რომ მთავრობა მხოლოდ შიდა რუსეთის მემამულეთ იცავს, ე. ი. თავისავე საკუთრებას, რადგან უმთავრესი მიწად მფლობელი რუსეთში იგივე ბიუროკრატია არის. თავის საკუთრების დასაცველად იგი არავის და არაფერს არ დაზოგავს, მათ შორის არც „ინოროდცების" კერძო საკუთრებას მოერიდება: „შეუდრეკელი დამცველი კერძო საკუთრების ხელუხლებლობისა", ბიუროკრატია უწყალოდ და უსინიდისოთართმევს მიწებს „ინოროდცებს" და ასახლებს შიდა-რუსეთის გლეხთ თავის საკუთარ მამულების გადასარჩენად. ამ მხრით იგი წმინდა ბუშმენია: რაც ჩემია—ჩემია და რაც შენია—ისიც ჩემიაო!..

აღდგომის წინა დღეებში მიწათ-მოქმედების მინისტრს, თავ. ვასილჩიკოვს, წარუდგნენ ყირგიზთა დეპუტატები და თავისი გაჭირვება შესჩივლეს. შეაჩერეთ ჩვენში რუს-გლეხების გადმოსახლება; კმარა, რაც წაგვართვეს; იმდენად შევიწროვებულნი ვართ ეხლა, რომ სულ ამოვწყდებით მალე; თუ ასე გაგრძელდა კიდევ, მეტი გზა არაა, უკიდურეს საშუალებას უნდა მივმართოთ: იარაღით უნდა დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი,—ისა სჯობს ერთბაშათ ამოგვწყვიტოთ, ვიდრე ნელ-ნელა ვიტანჯოთ და გავნადგურდეთო... ასე სჩივიან ყირგიზები დღეს, ასე სჩივიან ისინი ეს ოცი წელიწადია. რაც კარგი მიწა ჰქონდათ, მთავრობამ კაზაკებს და გლეხებს მიუზომა, უბედურ ყირგიზთ-კი დარჩათ დასავლეთ ციმბირის უდაბნოები. იმდენად შევიწროებულნი შეიქნენ, რომ ამ 10—15 წლის წინად თვით რუსის ბიუროკრატიის გაყინული გული შედრკა და აკრძალულ იქმნა იქით გადასახლება. მაგრამ ახლა, როცა აგრარული საკითხი გამწვავდა, ბიუროკრატიამ ისევ მიჰყო ხელი ყირგიზთა საკუთრებას. წარმოუდგენელის ცინიზმით ეპყრობა მთავრობა სხვის კერძო საკუთრებას, ოღონდ თავისი გადაარჩინოს. თავად ვასილჩიკოვი, მაგალითად, დაცინვითაც-კი მიუგებს ყირგიზთა მუდარას: თქვენთვისავე უფრო სასარგებლოა რუსის გლეხობის გადმოსახლებაო; რაც უფრო მჭიდროთ დასახლდება თქვენი მამულები, მით უფრო მალე შეითვისებთ მაღალ სასოფლო-სამეურნეო კულტურასაო! ამ პასუხის თავხედურ მნიშვნელობას ადვილად დააფასებთ, თუ გაიგებთ, რომ თვით მთავრობის პოლიტიკამ შეუშალა ხელი ყირგიზთ, მიწათ-მოქმედების კულტურაზე გადასულიყვნენ სავსებით. რაც ამისთვის გამოსადეგი მიწები ჰქონდათ, სულ ჩამოართვეს და ეხლა მიწათ-მომქმედი ყირგიზები იძულებულნი არიან თავისავე საკუთრება იჯარით იღონ კაზაკთაგან და ისე იცხოვრონ; დანარჩენი ყირგიზები დიდის გაჭირვებით, საქონლის მოშენებით იკვებებიან უდაბნოებსა და მთებში და რომ ძალიანაც ჰსურდეთ, სასოფლო მეურნეობას ვერ დაიწყებენ, რადგან ამის შესაფერისი მიწები ჩამოართვეს...

აი ნიმუში რუსის ბიუროკრატიის მზრუნველობისა არა რუსთა მიმართ! აი უტყუარი საბუთიც იმისა, რომ ბიუროკრატიას არა რუსთა ზურგზე განუზრახავს აგრარულ საკითხის გადაწყვეტა. მისთვის სრულიადაც არ არსებობს აგრარული საკითხი იქ, სადაც მის კერძო საკუთრებას არ ეხებიან. შიდა რუსეთში იგი დაინტერესდა ამ საკითხით იმდენად, რამდენადაც ეს მის კერძო ინტერესებს ემუქრება; ამიტომაც თავი და თავი საზრუნავი ის გაუხდა, რომ ყოველის ძალ-ღონით წინაღუდგეს მამულების იძულებით ჩამორთმევის პრინციპს შიდა რუსეთში, ხოლო „ინოროდცების" მიმართ ამავე პრინციპს ხარბათ ანხორციელებს და ყურს არ უგდებს არც კავკასიელის, არც ყირგიზელის მუდარას—შეაჩერე გადმოსახლებაო...

აქედან ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის—განაპირა ქვეყნების მკვიდრთათვის—აგრარულს პრობლემას: თუ იგი ჯეროვანად და სამართლიანად არ იქმნა დაყენებული და გადაწყვეტილი, წარმოუდგენელს ხიფათში ჩავარდებით. სამართლიანად-კი იმისი გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ხალხი სრულს უფლებას გამოგლეჯს ხელიდან ბიუროკრატიას და როცა თითოეულ ერისა ან განსაკუთრებულ ოლქის ტერრიტორიით განკარგულება სავსებით გადაეცემა თვით ამ ერისა ან ოლქის ადგილობრივ პოლიტიკურ თვითმართველობას.

## სათათბირო და საბჭო
(სააგენტოს დეპეშები)

**სახ. სათათბიროს სხდომა.** 30 აპრილს სხდომა დაიწყო 2 ს. და 10 წუთზე, გოლოვინის თავმჯდომარეობით. წაიკითხეს სია მთავრობის მიერ ახლად შეტანილ კანონ-პროექტებისა, სხვათა შორის იმის შესახებაც, რომ იაპონიას ტყვეების შენახვისთვის მიეცეს 45 მილიონი მანეთი.

ამ სხდომისთვის დანიშნული იყო განსახილველად შეკითხვა სამხედრო მინისტრს მოსკოვის გენ.-გუბერნატორის გერშელმანის უკანონო მოქმედების შესახებ. ეს უკანონობა გამოიხატა შემდეგში: მოსკოვში დასჭრეს ორი პოლიციელი. ამისთვის ოთხი კაცი სამხედრო-საველე სამართალში მისცეს, რომელმაც ბრალდებულთ კატორგა მიუსაჯა. გენ.-გუბერნატორმა არ დაამტკიცა სასამართლოს განაჩენი, ახალი სასამართლო დანიშნა და იმას გადასცა საქმე. მეორე სასამართლომ ბრალდებულთ სიკვდილი გადაუწყვიტა, რაც მოიყვანეს კიდეც სისრულეში.

ამ შეკითხვის გამო პირველად ილაპარაკა სამხედრო მინისტრმა. მან განაცხადა, რომ გენ.-გუბერნატორის გერშელმანს არავითარი უკანონობა არ ჩაუდენიაო. საქმე ასე მოხდა: გერშელმანმა დაიბარა სამხედრო-საველე სასამართლოს თავმჯდომარე, გადასცა მას საქმე და დაავალა, წასულიყო შტაბში, რომელსაც უნდა გამოეცა ბრძანება ამ საქმისთვის საველე სასამართლოს დანიშვნის შესახებ. თავმჯდომარემ, შტაბში წასვლის ნაცვლად, თვითონ მოიწვია სასამართლო, გარჩია საქმე და განაჩენი გენ.-გუბერნატორს წარუდგინა. გენ.-გუბერნატორმა უკანონოდ სცნო განაჩენი, რადგან შტაბის ბრძანება არა ყოფილა. ამიტომ ახალი სასამართლო დანიშნაო, სთქვა სამხედრო მინისტრმა.

მაკლაკოვმა. პასუხი გასცა მინისტრს. ორატორის აზრით, მინისტრმა ვერავითარი გასამართლებელი საბუთი ვერ წარმოადგინა. სათათბიროს შეკითხვა ასეთი იყო: მართალია თუ არა, რომ გენ. გერშელმანმა, კანონის წინაღმდეგ, გააუქმა საველე სასამართლოს განაჩენი და თუ მართალია, რას ფიქრობს მთავრობაო. ამაზე მინისტრმა ასეთი პასუხი მოგვცა: მართალია, გენ. გერშელმანმა უკანონობა ჩაიდინა, მაგრამ მთავრობა არაფერს არა ფიქრობსო. მინისტრმა სთქვა, რომ განაჩენი წესიერად არ იქნა ცნობილიო. თითონ ეს „წესიერად არ ცნობა" არის განაჩენის გაუქმება. კანონმა არ იცის „განაჩენის წესიერად არ ცნობა". განაჩენის კასსაცია სენატის და მთავარ სამხედრო სასამართლოს საქმეა და არა გენერალ-გუბერნატორისა. შემდეგ მინისტრმა განაცხადა, რომ ბრძანება არა ყოფილა საველე სასამართლოს შედგენის შესახებაო. თუ არა ყოფილა, მაშ საიდან გაჩნდა სასამართლო, რად გაარჩია მან საქმე და რად მიუსაჯა ბრალდებულთ კატორგა? რატომ გერშელმანმა სამართალში არ მისცა ესეთი თვით-ნება მოსამართლენი? მაგრამ საქმე ასე არა ყოფილა. შეიძლება მინისტრმა თითონ დაამოწმოს, რომ საქმის პირველ ფურცელზე წარწერა იყო ბრალდებულთა საველე სამართალში მიცემის შესახებ. თუ ასეა, მაშინ სიტყვიერი კი არა, წერილობითი ბრძანება ყოფილა. ამ ბრძანების ძალით, სასამართლო შეიკრიბა, საქმე გაარჩია, განაჩენი გამოიტანა, მაგრამ გენერალ-გუბერნატორმა გააუქმა. ეხლა გამოდის მინისტრი, ის მინისტრი, რომელმაც უბრძანა გენ.-გუბერნატორებს: სამხედრო-ს.-

ველე სასამართლოთა განაჩენის გაუქმება არაფრის გულისთვის არ შეიძლებაო, და სცდილობს გერშელმანის აშკარა უკანონობის გამართლებას. აი, ასე იცავენ ჩვენში კანონიერებას და სამართლიანობას. საველე სასამართლოების მიერ გამოცხადებულ უთვალავ განაჩენებში 90 პროცენტი იურიდიულის მხრივ არაფრად არა ღირს. ორატორმა ისიც აღნიშნა, რომ გენერალ-გუბერნატორს ან ჯარის უფროს უფლება არა აქვთ კასსაციის საქმეში ჩაერივნენ, მათ მხოლოდ სისრულეში უნდა მოიყვანონ განაჩენი. საზოგადოდ მინისტრმა ვერ გაამართლა გერშელმანი და უკეთესი იყო, ასეთის საბუთებით სულ არ გამოსულიყო იმის გასამართლებლად. ოთხი კაცი სიკვდილით დასაჯეს. ესენი მართლმსაჯულებისა კი არა, იმ ბოროტმოქმედების მსხვერპლნი არიან, რომელიც შედეგია უფლების ამაღლებისა, ბოროტად მოხმარებისა (ტაში). მთავრობა გაიძახის—მართლ-მსაჯულებას და კანონიერებას ვიცავო, მაგრამ თავის სიტყვას ყოველ ნაბიჯზე არღვევს. იყო დრო, როცა მთავრობა ხელს აფარებდა თანამდებობის კაცთა უკანონო მოქმედებას და ასეთი საქციელი პოლიტიკურ სიბრძნედ მიაჩნდა. ეხლა მე-57 მუხლი გვავალებს, გამოვააშკარაოდ უკანონო მოქმედებანი მოხელეებისა. ჩვენ ვააშკარავებთ, მაგრამ მთავრობა ყურსაც არ იბერტყავს. მოხელეებს, რაც უნდა ცუდი საქმე ჩაიდინონ, არავითარი განსაცდელი არ მოელით. განა ეს მშვიდობიანობის დამყარების პოლიტიკაა? არა, იგი უფრო შეუგნებელი პროვოკაციაა (ცხარე ტაში). რა უნდა იფიქროს ხალხმა: კანონი დაარღვიეს, ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეს და მოხელეს კი არა სჯიან!.. პრემიერმა მშვენიერი სიტყვები სთქვა: „რუსეთი გარდაქმნის გზაზე სდგასო“. დიაღ, გარდაქმნის დროა, მაგრამ თქვენ, წარმომადგენელნი მთავრობისა, რა როლს თამაშობთ ამ საქმეში? ამბობთ, კანონიერებას ვიცავთო, მაგრამ იმავე დროს თქვენის სურვილისამებრ კანონებს აუქმებთ. ამისთვის, ვინც ასე იქცევა, უკეთესია თავისი დეკლარაცია, სადაც ბევრი მშვენიერი სიტყვაა გამოთქმული, სრულიად დახიოს და ლუკმა-ლუკმად აქციოს. მე ბევრი ვიცი ისეთი, რომელთაც სძულთ კანონიერება, სიამოვნებით იგონებენ ძველს და გენერალ-გუბერნატორის აივნიდან სალამს უგზავნიან იმათ, ვინც მომხრეა სახელმწიფოს წეს-წყობილების შეცვლისა (ტაში). შეიძლება მთავრობა ულონოა ამათ წინააღმდეგ, მაგრამ თუ მთავრობას არ უნდა, რომ ამ თვით-მპყრობელობის მომხრეებმა დაღუპონ იგიცა და მისი პროგრამებიც, მაშინ არ უნდა დაიცვან მაინც ისინი. (ცხარე ტაში)

იუსტიციის მინისტრი ამტკიცებს, რომ გენ. გერშელმანს არ გაუუქმებია სასამართლოს დადგენილება, მან მხოლოდ ბრძანება გასცა, რომ დადგენილება არ შეესრულებინათო.

კუზმინ კარავაევის აზრით, გერშელმანმა ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა, თავის უფლებას გადააჭარბა და კანონი დაარღვია.

სერებრიაკოვი ამტკიცებს, რომ მთავრობამ დამნაშავეთა დასასჯელად კი არ შემოიღო საველე სასამართლოები, არამედ იმისთვის, ვითომდა კანონიერად დაეხოცა თავის მოწინააღმდეგენი.

გესსენს მინისტრისა არაფერი სჯერა და იგონებს იმ დროს, როცა ერთი თვის წინად იგივე მინისტრი სახელმწიფო სათათბიროში გულში ხელს იცემდა და ამტკიცებდა, რომ რუსეთის სასამართლო დამოუკიდებელი და თავისუფალიაო, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ იმავე მინისტრმა უკანონოდ დაითხოვა მოსკოვის პალატის თავმჯდომარე არნოლდი.

მიტროფს უკვირს საქციელი მინისტრისა, რომელიც საველე სასამართლოს იცავს, და შემოაქვს სოც.-დემ. სახელით ფორმულა მორიგ საქმეებზე გადასვლისა.

ბელოუსოვს შემოაქვს მშრომელთა ჯგუფის ფორმულა.

შირსკის—სოციალისტ-რევოლიუციონერებისა.

კიზევეტერი ამტკიცებს, რომ სათათბირო მინისტრებს საუკეთესო საშუალებას აძლევს მთავრობისადმი ნდობის გასამტკიცებლად, მაგრამ ამისთვის საჭიროა გულწრფელობა და გულახდილობა. თუ მთავრობას არც ერთი აქვს და არც მეორე, მაშინ მთავრობის ძალას არყევს და ძირს უთხრის თვითონ მთავრობა და არა შეკითხვა და მთავრობის საქციელის გამოაშკარავება. შემდეგ ორატორი თხოულობს, რომ სათათბირომ გესსენის ფორმულა მიიღოს, რადგან სხვა პარტიების ფორმულები ამ ფორმულისგან არსებითად არ განსხვავდებიანო.

5 ს. 25 წუთზე სხდომა შესწყდა ფორმულისთვის შესათანხმებლად. 15 წუთის შემდეგ სხდომა განახლდა. სათათბირომ უარჰყო შემდეგი წინადადება: არ იქნას ცნობილი დამაკმაყოფილებლად წინადადებანი იუსტიციის და სამხედრო მინისტრებისა, რომელნიც ხელს აფარებენ მოხელეების უკანონო მოქმედებებს. 178 ხმით 126 ხმის წინააღმდეგ უარ-ყოფილ იქნა ს.-რევოლიუციონერების ფორმულა, ხოლო 162 ხმით 136 ხმის წინააღმდეგ უარ-ყოფილ იქნა ს.-დემოკრატების მიერ წარდგენილი შესწორება გესსენის ფორმულისა. უმრავლესობით მიღებულ იქნა გესსენის შემდეგი ფორმულა:

მივიღეთ რა მხედველობაში, რომ 1) გენერალ-გუბერნატორის გერშელმანის საქციელის გამო სამხედრო მინისტრის ნალაპარაკევიდან გამოირკვა, რომ გენ.-გუბერნატორმა გააბათილა საველე სასამართლოს გადაწყვეტილება იმ მოსაზრებით, ვითომ გადაწყვეტილების დამტკიცება შეუძლებელი იყო მის ფორმალურ ნაკლის გამო, 2) რომ კანონი საველო სასამართლოსი არა თუ უფლებას არ აძლევს გენ. გუბერნატორს მის ფორმალურ ნაკლის გადასინჯვისა, არამედ კატეგორიულად უკრძალავს მის გადათვალიერებასა და გაუქმებას, 3) რომ ამ გვარად ცხადად დამტკიცებულია გენ.-გუბერნატორის გერშელმანის მხრით კანონის დარღვევა, რასაც შედეგად მოჰყვა ოთხი კაცის დახვრეტა, საჭიროა მისი გასამართლება ჩვეულებრივ სასამართლოთი, რის მაგივრობასაც ვერ გასწევენ მინისტრთა მიერ წარმოდგენილი საბუთები, სახელმწიფო სათათბირო გადადის მორიგ საქმეებზე.“

პირველ მაისს სხდომა დაიწყო 2 ს. და 15 წუთზე. ირჩევა კანონ პროექტი სათათბიროს კანცელარიის შტატებისა. შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწემ კრიჟანოვსკიმ სიტყვა მოითხოვა და განაცხადა, რომ მთავრობა სავსებით ეთანხმება ამ კანონ-პროექტს გარდა იმ მუხლისა, რომელიც შეეხება საქმის მწარმოებელთა ცენზს. თავმჯდომარემ შეაჩერა მინისტრის თანაშემწე. პურიშკევიჩმა სიტყვა წარმოსთქვა. თავმჯდომარე შეეკითხა, რა საგანზე გნებავთ ლაპარაკიო, ატყდა ხმაურობა. პურიშკევიჩმა დაუყვირა თავმჯდომარეს: „გაჩუმეთ თქვენი ამხანაგები!“ თავმჯდომარემ სთხოვა პურიშკევიჩს, თავის ადგილზე დამჯდარიყო.

სათათბირომ მიიღო პროექტის 1, 2 და 3 მუხლები. ლაპარაკი გამოიწვია მეოთხე მუხლმა, რომელიც შეეხება ქალების სამოსამსახურო უფლებას.

ფოკეევმა ს.-რ. ფრაქციის სახელით განაცხადა, რომ იგი მომხრეა სქესთა თანასწორობისა, მაგრამ კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებსო.

სალტიკოვმა სოც.-დემ სახელით ილაპარაკა, წინადადება შეიტანა, რომ მეოთხე მუხლი გამოტოვებულ იქნას.

ზელენოვი, კიზევეტერი და კრუპენსკი ამტკიცებდნენ, რომ ამ მუხლის გამოტოვება კანონის ძალით იმას ნიშნავს, რომ ქალებს სულ წაერთმევათ სამსახურის უფლებაო.

სათათბირომ მიიღო მე-4 მუხლი.

კრიჟანოვსკიმ ითხოვა, რომ არ მიეცა მე-5 მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ მოსამსახურეებს სწავლისა და სამსახურის ცენზი უნდა ჰქონდეთო.

ამან დიდი კამათი გამოიწვია. მემარცხენეები და პოლონეთის კოლო უარს ჰყოფდნენ ცენზს, კადეტთა უმრავლესობა თხოულობდა სწავლის ცენზის შემოღებას და უარ ჰყოფდა სამსახურის ცენზს. მემარჯვენეთ მხარი დაუჭირეს მთავრობის პროექტს.

პურიშკევიჩის სიტყვამ იმის შესახებ, რომ ეხლანდელ სათათბიროსთვის საჭიროა ციხის ცენზიო, აყალ-მაყალი გამოიწვია.

თავმჯდომარე დაემუქრა პურიშკევიჩს, მე 38 მუხლის ძალით გაგდევნითო.

პურიშკევიჩმა დაიყვირა: „ჯერ უნდა შენიშვნა მომცეთ და მერე მიმართოთ მაგ მუხლსაო.

შულგინმაც დაუყვირა თავმჯდომარეს: ბ-ნო თავმჯდომარევ! ეგ მუხლი ბევრს არაფერს მიუმატებს თქვენს დიდებასო.

სათათბირომ უარჰყო სამსახურის ცენზი, აღიარა მხოლოდ სწავლის ცენზი, მიიღო მე 5 მუხლი და დააწესა ჯამაგირების რაოდენობა. სათათბიროს კანცელარია წელიწადში დაჯდება 40,915 მან. პროექტი გადაეცა სარედაქციო კომისიას.

შემდეგ გაირჩა საკითხი იმის შესახებ, რომ სათათბირომ გაჰკიცხოს პოლიტიკური მკვლელობა. თავმჯდომარემ წინადადება მისცა სათათბიროს, დაიბეჭდოს ეს წინადადება და დეპუტატებს დაურიგდესო.

კრუპენსკიმ აღნიშნა, რომ მემარჯვენეთა და მემარცხენეთ სურთ ამ საკითხის გარჩევა, ცენტრი კი რევოლიუციას ეარშიება, მაგრამ ტყუილი იმედია: რევოლიუცია მას არ ენდობაო.

მცირე კამათის შემდეგ დაადგინეს: დაიბეჭდოს წინადადება და დეპუტატებს დაურიგდეს.

კრება გათავდა 5 ს. და 57 წ.

შემდეგი კრება განიხილავს აგრარულ საკითხს.

(გაზეთებიდან)

**პოლონელების შეკითხვა.** ვარშავის გაზეთებში მოთავსებულია ტექსტი შეკითხვისა, რომლითაც პოლონელი დეპუტატები მიმართავენ სახელმწიფო დუმაში სამინისტროს. შეკითხვა პოლონეთში სამხედრო წესებს შეეხება. აღნიშნულია ყველა ის ძალმომრეობა, რომელიც მოხდა 1905 წ. სამხედრო წესების შემოღებიდან დღევანდლამდე, აგრეთვე ის გარემოება, რომ სამხედრო წესების მთელი სიმძიმე მშვიდობიან მშრომელ ხალხს აწევს კისერზე, აფერხებს იმის ზნეობრივ და ქონებრივ წარმატებას და ამავე დროს სრულებით ხელს არ უწყობს ქვეყნის დამშვიდებას. შეკრების ბოლოში მიმართვაა მინისტრებისადმი იმის შესახებ, აპირებენ თუ არა პოლონეთში სამხედრო წესების გაუქმებას.

# ახალი ამბავი

**პირველი მაისი ტფილისში.** 1 მაისმა მშვიდობიანად ჩაიარა. ეს დღე იდღესასწაულეს რკინის გზის სახელოსნოებისა და დეპოს, სტამბებისა, ქარხანა-ფაბრიკებისა, სავაჭრო სახლებისა და მაღაზია-დუქნების მუშა-მსახურებმა. მუშაობა შესწყდა აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. გამოვიდა, ისიც ნახევარი ფურცელი „კავკაზ“-ი. არ მოქმედებდა ტრამვაი. მეეტლეებიდან გამოვიდა ბირჟაზე, მხოლოდ ერთი ნაწილი. დუქან მაღაზიები და სასმელ-რესტორანები დილით დაკეტილი იყო, მაგრამ 10 საათიდან პოლიციელებმა ჩამოიარეს და გაალებინეს. ვაჭრობა ნაკლებად იყო. თვალსაჩინო ამ დღეს არა მომხდარა. მამადავითის მთაზე ასამდე ნოქარი შეიკრიბა და საზოგადო სადილი გამართა, მაგრამ პოლიციელებმა შეკრებილი დაშალეს. ვერაზე პოლიციამ გაჩხრიკა რამდენიმე გამვლელ გამომვლელი და ზოგი დააპატიმრა. სალამოთი მეფანრეებს ფარნები არ აუნთიათ. ამის გამო რამდენიმე მეფანრე დააპატიმრეს და ზოგან ფანრები თვით პოლიციელებმა აანთეს. გენერალ-გუბერნატორმა ტრამვაის საზოგადოება 3,000 მანეთით დააჯარიმა.

**პირველი მაისი ქუთაისსა და ჭიათურაში.** როგორც გვატყობინებენ, პირველ მაისს ქუთაისში გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებლებში სწავლა არა ყოფილა. არ მუშაობდნენ ნოქრები. ეტლი ძალიან ცოტა გამოვიდა. ჭიათურაში სრული გაფიცვა იყო.

**კომისია თავად-აზნაურთა და გლეხთა ურთი-ერთობის მოსაწესრიგებლად.** როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, თითქმის მთელი ქიზიყის მიწა-წყალი, რომელზედაც დასახლებულია 40,000-ზე მეტი გლეხკაცობა, სახაზინოდ ითვლება. შიგა და შიგ ქიზიყის სოფლებში სცხოვრობს ასზე მეტი თავად-აზნაური. როგორც სხვაგან, ისე ქიზიყში ურთიერთობა გლეხებსა და თავად-აზნაურობის შორის ადგილ-მამულის გამო ძლიერ გამწვავდა. გლეხები და მემამულენი ერთმანეთს ადგილებს ედავებიან. რადგან სასამართლოებში საქმე მთელი წლობით არა თავდება, ქიზიყის თავად-აზნაურობას უთხოვნია გუბერნიის მარშლისთვის იშუამდგომლოს კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, ნება დართოს დაარსდეს კომისია, რომელ-

# ფელეტონი

## ფედერალიზმი და სოციალისტური პოლიტიკა

ლ. კულჩიცკისა

პირდაპირ სახალხო კანონმდებლობისა და პარლამენტარიზმის საკითხებს გვერდში უდგა პრობლემა სახელმწიფოს ორგანიზაციისა ფედერატიულად და დამოკიდებულება მასთან სოციალისტურ პოლიტიკისა. ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა დიდ სახელმწიფოებში, სადაც ერთად არიან შეერთებული ისეთი ოლქები, რომელნიც დასახლებული არიან სხვა და სხვა ერებით, რომელნიც შესამჩნევად განირჩევიან ერთმანეთისაგან ეტნიურად და თავიანთ მატერიალურ, ზნეობრივ, გონებრივ და პოლიტიკურ კულტურით.

პოლიტიკურ ურთიერთობის ევოლიუციამ ავსტრო-უნგრეთში შემდეგი დილემა წამოაყენა წინ: ეს სახელმწიფო ან რამდენიმე ნაწილად უნდა დაიშალოს, ან ფედერატიულ სახელმწიფოდ გადაკეთდეს. რუსეთი ამ ჟამად ძნელ სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდის და ცხოვრებამ ამ სახელმწიფოშიაც წამოაყენა წინ ავტონომიისა და ფედერაციის საკითხები, რომელნიც ას თ თუ ისეთ გადაწყვეტას თხოულობენ და უფრო უარესად ართულებენ უამისოდაც მეტად დახლართულ პოლიტიკურ ურთიერთობას, თუმცა რუსეთში გაბატონებული ეროვნება შედარებით უფრო ძლიერია რუსეთშივე მოსახლე სხვა ერებთან, ვიდრე ავსტრო-უნგრეთში გაბატონებული ეროვნება დანარჩენ საზოგადოდ სოციალისტები, და კერძოდ პოლონეთსა, ლიტვასა, კავკასიასა და სხვა ოლქებში მოქმედი სოციალისტები სხვა და სხვა თვალით უყურებენ ფედერალიზმს. ზოგნი მას ძლიან ცერად უყურებენ, ზოგნი ამ იდეის თავგამოდებით იცავენ. ამ ჟამად ჩვენ გვსურს ფედერალიზმის პრობლემა გადავათვალიეროთ სოციალისტურ პოლიტიკის თვალსაზრისის მხრით.

I

ფედერალიზმის პრობლემა უნდა დადგმულ იქნას და გაიჭრჯოს მეორე და უფრო ფართო პრობლემაზე: საზოგადოდ ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პრობლემაზე. ეს პრობლემა მეტის მეტად რთულია და შეეხება მრავალ ისეთ საკითხს, რომელსაც ჩვენ აქ ვერ გამოუდგებით, რადგან მის ზედაპირულ განხილვისთვისაც კი საჭიროა მოკლედ იმის განხილვა, თუ რანაირ პირობებში შენდებოდა ცენტრალისტური სახელმწიფო და რანაირ პირობებში—დეცენტრალისტური.

ამ საკითხის განხილვა ხელთ მოგვცემს მტკიცე ნიადაგს იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად შესაძლებელია ფედერაციის განხორციელება ეხლა და მომავალში.

ჯერ კიდევ იმ დროს, როცა არ არსებობდა არც სახელმწიფო და არც არავითარი ტერიტორიალური ორგანიზაცია, საზოგადოება აგებული იყო მხოლოდ ტომობრივ პრინციპზე; ამა თუ იმ ტომის ჯგუფთა კავშირი დამყარებული იყო საერთო ჩამომავლობისა და ნათესაობის ნიადაგზე.

ასეთი კავშირი შესდგებოდა სუსტად შეკავშირებულ ელემენტებისაგან, უზრუნველყოფდა თვითეულ ჯგუფის სრულს დამოუკიდებლობას შინაურ საქმეებში და თვისი მიზანი და დანიშნულება განსაზღვრული ჰქონდა სამხედრო, რელიგიურ და სამეურნეო საქმეებით. ცენტრალური დაწესებულებანი ძალიან სუსტი იყო და არც ცალკე აღმასრულებელი ორგანოები ჰქონდათ.

მათი ორგანიზაცია ძლიან წააგავს ეხლანდელ კონფედერაციას. საზოგადოება ჯერ დანაწილებული არ იყო და ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფი თავის კომუნისტურ მეურნეობით სავსებით იკმაყოფილებდა თავის საჭიროებას; აღებ-მიცემობაც კი მხოლოდ მაშინ იწყებოდა.

საწარმოვო ძალთა ევოლიუციის ზედგავლენით თანდათან იცვლებოდა სამეურნეო ურთიერთობა: ადამიანი იმაზე უფრო მეტს აწარმოებდა, ვიდრე ხარჯავდა, რის გამო აღებ-მიცემობა განვითარდა და გაფართოვდა. იმავე დროს ხალხის გამრავლებამ გააფართოვა საზოგადოებრივი ჯგუფები და გამოიწვია ხშირი შეტაკება და ომები ტომებსა და ერთა შორის, რამაც ძალიან განამტკიცა და გაამაგრა ბელადებისა და მხედართ მთავრების ძალა და უფლება. როცა ზემოხსენებულმა პირობებმა და მიზეზებმა საზოგადოება დაჰყო მდიდრებად და ღარიბებად ბატონებად და მოხებად, აუცილებელი გახდა დაარსება სახელმწიფოსი. რომელიც ორნაირ საქმეს ასრულებდა: იცავდა ტომს და იფარავდა გაბატონებულ კლასებს.

უწინდელ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან შედარებით სახელმწიფოს დაარსება ნიშნავდა წინ წაწევას და ერთი ნაბიჯის გადადგმას ცენტრალიზაციისაკენ. მაგრამ პირველ ხანებში მას არ ჰქონდა დამთავრებული და თანდათანობით შესრულებული ცენტრალისტური ორგანიზაცია. პირიქით, მას კიდევ ბევრი რამ შერჩა წინანდელ საზოგადოებრივ ორგანიზაციისა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ისტორია და ეტნოგრაფია მრავლად გვიჩვენებენ ისეთ მაგალითებს, სადაც სულ სხვანაირი ორგანიზაცია იყო: ზოგ სახელმწიფოს ეტყობა ფედერალიზმის ელფერი,—ასეთ სახელმწიფოებს ეჭირათ ძალიან დიდი ადგილი და სოფლურად იყვნენ მოწყობილი, ზოგს კი მხოლოდ ქალაქები და ახლო-მახლო ადგილები ეჭირათ და ქალაქურად ცხოვრობდნენ. მაგრამ ორივე ჯურის სახელმწიფოებში უმაღლეს მთავრობას სამოქმედო ასპარეზი მეტად ვიწრო ჰქონდათ. სახელმწიფოს სხვა და სხვა კუთხე თავის საკუთარ შინაურ საქმეებში დამოუკიდებელია. ქალაქურ სახელმწიფოებშიაც კი პირველად ტერიტორიალურ დეცენტრალიზაციასთან ერთად დაცული იყო ტომობრივი ორგანიზაციები, რომელთაც მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ დაუთმეს ადგილი ცენტრალიზაციას. სანამ ცენტრალიზაცია განვითარდებოდა, ცენტრალურ მთავრობას მხოლოდ საზოგადო საქმეები ჰქონდა ჩაბარებული: საერთო ფინანსიური, სამხედრო და ზოგჯერ სამოსამართლოც. სახელმწიფოს საქმე იყო ხარჯისა და ბაჟის აღება, სამხედრო ორგანიზაციისთვის საჭირო ხალხის მოგროვება და ცალკე პირებისა და საზოგადოებრივ ჯგუფთა გასამართლება იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ამა თუ იმ პირისა და ჯგუფისა სახელმწიფოს შეეხებოდა. სახელმწიფოს ყოველ კუთხეს ჰქონდა თავის ადათი და ჩვეულება. რომლითაც ხელმძღვანელობდნენ იქაური მცხოვრებნი. სამეურნეო ურთიერთობასაც ძლიერი კარჩაკეტილობის ბეჭედი ჰქონდა დასმული; საქონლის აღებ მიცემაშიაც შევიწროვებული იყო. რადგან ძალიან ხშირად ამ საქონელზე ბაჟები იყო დადებული და მათი გადატან-გადმოტანა და გაყიდვაც განსაკუთრებულ კანონებით იყო შეზღუდული.

საზოგადოებრივმა განვითარებამ გამოიწვია პატარა სახელმწიფოების შეერთება. სხვა და სხვა ტერიტორიები, რომელნიც განსხვავდებოდნენ თავიანთ პოლიტიკო-სახელმწიფოებრივ წესწყობილებით, ერთმანეთს უკავშირდებოდნენ და დიდ სახელმწიფოებს აარსებდნენ, მაგრამ კარგა ხანს ასეთ შეერთებას თან არ მოსდევდა პოლიტიკური ცენტრალიზაცია. უფრო ხშირად ცალკე სახელმწიფოებრივი ტერიტორიები უკავშირდებოდნენ ერთმანეთს ერთ სამეფო ტახტის დაარსების სურვილისა და საჭიროების გამო და აარსებდნენ ან პირად ან რეალურ უნიას, უფრო ხშირად კი პირველს. ასეთი კავშირი ან დროებითი იყო, ან მუდმივი, ან ორგანიული, ან მექანიკური. უნიის დროს ყოველ სახელმწიფოებრივ ტერიტორიას ჰყავდა თავის საკუთარი მთავრობა, ჰქონდა საკუთარი კანონები, შემდეგ გაიჩინეს საკუთარი ადგილობრივი წარმომადგენლობა და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ზოგიერთა ფაქტორის ზედგავლენით ასეთი თავისუფალი კავშირები უფრო გამტკიცდნენ, მჭიდროდ შეიკვრნენ, ერთმანეთს დაუახლოვდნენ და მათმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ თანდათან ცენტრალისტური ელფერი მიიღო.

რესპუბლიკანურ წესწყობილებაზე აგებული ქალაქური — ხელმწიფოები ხში-

საც შეეძლოს ადგილობრივ შეისწავლოს ქიზიყის მცხოვრებთა შორის გამწვავებული მდგომარეობა და ადგილობრივ გადასწყვიტოს სადაო საქმეები. მარშლის შუამდგომლობა ნამესტნიკს შეუწყნარებია. უკვე გადაწყდა გაიგზავნოს განსაკუთრებული კომისია. ამ კომისიაში იქნებიან: ტფ. სამოსამართლო პალატის სამოქალაქო ნაწილის თავმჯდომარე, 2 წარმომადგენელი ადგილობრივ გლეხებისა, ორი წარმომადგენელი თავად-აზნაურობისა, მ. ვ. მაჩაბელი და ქიზიყის მომრიგებელი შუამავალი თავ. ჯორჯაძე, კომისია მალე შეუდგება საქმეს.

✦ **პატიმართა გაგზავნა.** 1 მაისს ტფილისიდან ჩრდილოეთ ადგილებში ეტაპით გაგზავნეს 30-მდე კაცი. მათ შორის გაიგზავნა ჟანდარმად ნამყოფი როგოჟნიკოვი, გიორგი ნათლოვი და ნაუმ რავდელი, რომელთაც პოლიტიკურ ბრალდებისთვის ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი** ვიატკის გუბერნიაში იგზავნებიან ხუთი წლით ნორიოს მცხოვრები დიმიტრი შუბაშვილი, ტფილისელი გიორგი ცამაძე და ივ. ვილუზკო. პირველ ორს აბრალებენ ძარცვა-გლეჯას, უკანასკნელ რევოლიუციონურ პარტის წევრობას. ვიატკისავე გუბერნიაში ორი წლით იგზავნება სევერიან აზზიანიძე, რომელსაც რევოლვერი უნახეს. ტფ. საგ.-გუბერნატოროდან ეტაპით იგზავნებიან: გიორგი ლეკიშვილი, ე. გნედიჩი, პ. ბურლუცკი, ხ. ოჰანეზოვი და ა. შვარცი.

✦ **გემის უფროსის დაჭრა.** ბაქოში 1 მაის დასჭრეს მუცელში „აღმოსავლეთ საზოგადოების“ გემის უფროსი ვორონინი. მსროლელი მიიმალა.

✦ **კონცერტის გადადება.** სამს მაისს განზრახული კონცერტი საფაროვ-შებუევისა ინოჩენცის ბინაზედ გადადებულ იქმნა. დღე კონცერტისა ცალკე იქნება გამოცხადებული.

✦ **სწავლის გათავება ქალაქის სკოლებში.** ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა განკარგულება მოახდინა, რომ ტფილისის პირველ დაწყებით სკოლებში სწავლა 20 მაისამდე გაგრძელდეს.

✦ **იურიდიული ბიურო.** ტფ. ტრამვაის მოსამსახურეთა პროფესიონალურმა კავშირმა დაარსა იურიდიული ბიურო, რომელიც საიურიდიო დახმარებას გაუწევს კავშირის წევრებს. ვექილად ბიუროში მიიწვიეს ბ-ნი კ. ი. ჯაფარიძე.

✦ **მოკლულ სალდათების დასაფლავება.** 13 აპრილს ბაქოში, როგორც ვწერდით, თავს დაეცნენ ფოსტა ტელეგრაფის კანტორას. სროლის დროს მოჰკლეს გრუზინსკი პოლკის ორი სალდათი შჩუკინი და სტეფანოვი. მოკლულთა გვამები გუშინ ტფილისში ჩამოასვენეს და აქედან ბელიკლიუჩში წაასვენეს. სადგურიდან კოჯრის აღმართამდე ქუჩებში იდგნენ გარნიზონის სალდათები. პროცესია გააცილა გენერლობამ, აფიცრობამ და ჯარმა. ნამესტნიკის სასახლესთან სამხედრო ტაძრის წინ პანაშვიდი გადაიხადეს, რომელსაც დაესწრო ნამესტნიკი თავის თანაშემწეებითურთ და მოხელეებით. კუბოებზე 13 გვირგვინი იყო.

✦ **დაჭრა.** 30 აპრილს, საღამოს $6^1/_2$ საათზე, ხოჯივანქის სასაფლაოზე ვიღაც უცნობმა ბებუთით დასჭრა რკინის გზის სახელოსნოების მოხელე მიხეილ როგულინი.

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭომ 30 აპრილის სხდომა მოანდომა ტრამვაისთვის შედგენილ სავალდებულო დადგენილებათა განხილვას. საბჭომ უარჰყო ყველა ის ცვლილება, რომელიც შეიტანა ქალაქის საქმეთა საკრებულომ. ხმ. ვართანოვი შეეკითხა გამგეობას ხმოსანთა არჩევნების შესახებ „ზაკავკაზიეს“ შაბათის №-ში მოთავსებულ სტ. ქრელაშვილის წერილის გამო. ხმოსანმა განაცხადა, რომ ქრელაშვილის წერილი საარჩევნო სიების შემმოწმებელ კომისიას უხერხულ მდგომარეობაში აგდებს და გამგეობა თანახმაა თუ არა ბ-ნ ქრელაშვილის მოსაზრებებისაო. თავ. ჩერქეზიშვილმა სთქვა, ეს წერილები ბ-ნ ქრელაშვილს ეკუთვნის და გამგეობა იქ მოყვანილ მოსაზრებათა განხილვაში არ შესულაო. სტ. ქრელაშვილმა განაცხადა, რომ იგი დაამტკიცებს საარჩევნო სიებიდან ამომრჩეველთა უკანონოდ გამორიცხვას 1893, 1897 და 1902 წლების ხმოსანთა საარჩევნო სიებით.

✦ 30 აპრილს, ნაშუადღევის 3 საათზე, პოლიციის მე-10 ნაწილში ვიღაცამ რევოლვერით დასჭრა ქუთაისის მოქალაქე სოლომონ ხაიბოვი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ როგორც გავიგეთ, სამსახურიდან ითხოვენ ტფილისის საგუბერნიო საპყრობილის უფროსს.

✦ პირველ ნაწილის ბოქაულად დაინიშნება დევდოვი.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: ვერაზე სცხოვრობს მოხუცი ცოლ-ქმარი მ—შვილი, რომელთაც არავითარი სახსარი ცხოვრებისა არ გააჩნია, არც მუშაობა შეუძლიან, კარგი იქნება თუ გულ შემატკივარი ხალხი რაიმე დახმარებას აღმოუჩენს. ადრესი: ვერა, პეტროვსკის მეორე ვიწრო ქუჩა. № 13

✦ ამას წინად ვწერდით, რომ გაიფიცნენ მესაზანდრე მენალარეები და მოსთხოვეს მესაზანდრეებ მანეთზე აბაზი. როგორც ახლა გვატყობინებენ, მესაზანდრეებს უკვე დაუკმაყოფილებიათ მენალარეები და მანეთზე აბაზი მიუციათ.

✦ გიორგი ყარამიზოვმა პოლიციაში განაცხადა, რომ 30 აპრილს დუქანში შემოვარდა 6 შეიარაღებული კაცი, რომელთაც მუქარით მოსთხოვეს ფული. წაუღიათ 80 მანეთი ფულად და ნივთები.

# პრესსა

ჩვენი დღევანდელი მეთაური გადაცემული გვქონდა სტამბაში, როცა წავიკითხეთ „რეჩ“-ის ფელეტონი (№ 96) ამავე საგანზე. კადეტების ოფიციოზი იტყობინება, რომ მთავრობა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტს თხოულობს სათათბიროსაგან კავკასიაში კოლონიზაციის საქმის მოსაწყობად წელს. „რეჩ“-ი აფრთხილებს სათათბიროს და ურჩევს—ნუ შეუწყობ ხელს მთავრობის საკოლონიზაციო პროექტსაო, რადგან კავკასია თავის-თავადაც შეწუხებულია სივიწროვითაო. გაზეთს მოჰყავს სტატისტიკური ცნობები, რომელნიც მჭევრმეტყველურად ამტკიცებენ, რომ ჩვენშიაც მძიმეა აგრარული საკითხი და რომ აქ შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლება ადგილობრივ მკვიდრთა განადგურება იქნებაო. ორთა შუა რაცხვითაო, ამბობს „რეჩ“-ი,

ტფილისის გუბერნიაში სულზე მოდის 4, 7 დესეტინა კარგი და უვარგისი მიწა, ხოლო ქუთაისში—1, 9 დესეტინა. და აი, ამისთანა პირობებში, მთავრობას განზრახვა აქვს გადაასახლოს იქ რუსი-გლეხები და თითო სულს მიუზომოს 4—12 დესეტინა სახაზინო მიწა! სრულებით გასაკვირველი არაა, თუ კავკასიელნი შეშფოთებულნი არიან მთავრობის საკოლონიზაციო პლანებით.

კადეტების გაზეთს იმედი აქვს, რომ სათათბირო მიიღებს მხედველობაში კავკასიელთა გაჭირვებას და უარ-ჰყოფს მთავრობის განზრახვასაო; მაგრამ თვით კადეტების ტაქტიკამ გვიჩვენა, რომ სახ. სათათბიროს იმედით ვერ დავრჩებით. სათათბიროს დათხოვნის შიშით, კადეტებმა ბევრი რამ დასთმეს და, ალბად, კიდევ დასთმობენ. აგრარულ საკითხის ძირითადი გადამწყვეტი დღევანდელი მთავრობა და დღევანდელი სათათბირო ვერ იქნებიან...

# პროვინციის ცხოვრება

**ს. ტობანიერი** (ქუთ. მაზ.). ს. საპაიჭავოში სტრაჟნიკებსა და რაზმელებს შორის შეტაკების შემდეგ, სხვათა შორის, ტობანიერის საზოგადოებაც დააჯარიმეს სამი ათას მანეთით. ამ ფულის მოსაგროვებლად ამილახვარი სამ დღეს დარჩა აქ 26 კაცით. მათი შენახვა დაუჯდა სოფელს კარგა ძვირად, რის გაი გაგლახით გაძვალტყავებულმა გლეხობამ, შეწუხებულმა ათასნაირ გადასახადით და შიმშილობით (როგორც ნამდვილად გავიგე, კაი ხანია, რაც მცხოვრებთა თითქმის ნახევარზედ მეტი საკვებს ყიდულობს), გადაიხადა ეს ფული. საინტერესოა, რას შვრებოდა ამ დროს აქაური ბრწყინვალე წოდება, რომელიც შარშან და შარშან წინ არწმუნებდა გლეხობას, წოდებრივი უფლებები უარვყავით და ამხანაგობას უცხადებდა მიუხედავად დაპირებებისა, როდესაც სიტყვა საქმეზედ მიდგა და როდესაც თავად აზნაურობას შეეძლო ამხანაგურად ამოსდგომოდა გვერდში დამშეულ გლეხობას ჯარიმების გადახდაში მონაწილეობის მიღებით, მან რუსული „ატკაზით“ უპასუხა გლეხებს; „ჩვენ მთავრობა გვანთავისუფლებს ამ ჯარიმებისაგანაო“. გლეხობაც ძალაუნებურად გაჩუმდა. გლეხები ჯერ-ჯერობით აღარ იკარებენ თავად აზნაურობას არც ჭირში და არც ლხინში და შემდეგში რა იქნება, მომავალი გვიჩვენებს. ამილახვარმა სხვათა შორის მოსთხოვა ტობანიერლებს თითო „საპოლოშნიკიდან“ ორ-ორი „კეთილსაიმედო“ კაცი. ამათვის დაუვალებია, რომ თუ ვინიცობაა აგიტატორპროპაგანდისტი შემოვიდეს სოფელში, წარმომიდგინეთ; აღევნეთ თვალყური, რომ ვინმემ ცუდად და ცუდი მიმართულების წიგნების კითხვა არ გაბედოს და თუ ვინმე ამისთანა აღმოჩნდეს, ისიც წარმომიდგინეთო. თვალყური ადევნეთ წითელიშვილს და იმის რაზმს და სადაც გაჩნდეს, თუ თქვენ ვერ დაიჭირეთ, მაშინვე მაცნობეთ და სხვაო. ეს კაცები გულმოდგინეთ ასრულებენ დავალებას, ამ სოფელში ყოველ კვირაობით იმართება ბაზრობა. ბზობას, ბაზრობის დღეს, ზემოდ დასახელებული პირები დადიოდნენ ხალხში და დაეძებდნენ თავიანთ საკბილოს. ერთ ახალგაზდას დაუნახეს ხელში ერთი წიგნაკი, გამოჰგლიჯეს ხელიდან და დასტუქსეს—ვინ მოგცა ამის კითხვის ნებაო, თანაც უთხრეს, პოლიციას წარვუდგენთ, ის გასინჯავს და განკარგულებას მოახდენსო. მერე არ იკითხავთ რა წიგნაკი იყო?! ი. წერეთლის „ისტორიული წერილები“. საკვირველ არიან, უფალო, საქმენნი შენნი!

მუხაერის საზოგადოების თვითეული კომლი დააჯარიმეს ექვს-ექვს მანეთით და ექვს-ექვს კაპიკით, ან წითელიშვილი წარმოგვიდგინეთ და ან ეს გადაიხადეთო. ხალხი იძულებულია, ჯარიმა გადიხადოს, რადგან წითელიშვილის რაზმის ხელში გდება, რა თქმა უნდა, საძნელო საქმეა. **ს. გ—შე.**

—

**ს. ტკვარჩელი** (კოდორის ნაწილი სოხუმის ოლქისა). 22 აპრილს, აღდგომა დღეს. მეტად სამწუხარო და გულსაკლავ სურათის მნახველნი იყვნენ ს. ტკვარჩელის მცხოვრებნი. ამ დღეს წირვის გამოსვლისას გარდაცვალებულ გლეხის მ. მ—ას ოჯახში, აფხაზთა ჩვეულებისამებრ, ტაბლა გაეკეთებინათ. ანთებულ ცვილის სანთლისაგან მოჰკიდებია ცეცხლი ფაცხის კედელზე ჩამოკიდებულ ფარდას, აქედან თვით ფაცხასაც. ამ შემთხვევისა გამო ატეხილ წივილ-კივილსა და ხმაურობა-კიჟინაზე მიცვივნულა წირვიდან მომავალი ხალხი. ამასობაში ცეცხლი მეორე პატარა ხის სახლზე გადასულა. მოსულ ხალხს ხაბაკ-ნივთები გამოუტანია. მერე კედლების დარღვევისა და ფიცრების გამოღებისათვის მიეყოთ ხელი. ამ თავ-განწირულ მუშაობის დროს ჩამონგრეულ და ცეცხლმოკიდებულ სახლის ზედა-ნაწილის ქვეშ მოყოლოდა მშველელთაგან რამდენიმე კაცი, რომელთაგან ორნი—ერთი მ. არიშბაია და მეორე კ. მ—ა ცოცხლად დამწვარან და მათი ძვლებიღა ეპოვნათ, ხოლო ოთხი სხვა მძიმედ დაშავებულა. როგორც დამწვართა ოჯახებსაც, ისე მთელ სოფელს ამ დღეს ვერავერი აღდგომა გაუთენებიათ.

**ადგილობრივი.**

—

**აბჟუვა** (სოხუმის ოლქისა). აბჟუვაში (აგრეთვე სამურზაყანოშიაც) ქურდობა-ავაზაკობა ძალიან ნაკლებად არის ახლა. მხოლოდ ამ სააღდგომოდ თითო ოროლა შემთხვევა კი იყო ქურდობისა. საზოგადოდ კი მთელი ოთხი თვე ქურდობა-ავაზაკობისაგან საკმაოდ დაცულნი არიან აქაური გლეხები. ოლქის უფროსის მოთხოვნით, საზოგადოებამ აარჩია ორ-ორი კაცი, სულ 20. ქურდობა-ავკაცობაში შენიშნული, და ამათ მიუსაჯა დამწყვდევა სამი თვით სოხუმში. 20 კაცი შემდეგ, ქუთ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, რუსეთში გაგზავნილ იქნენ. აფხაზთა დეპუტაცია შუამდგომლობდა გენ-გუბერნატორის წინაშე ამ გადაყვანილ პირთა უკან დაბრუნებაზე. გენერალ-გუბერნატორმა, როგორც „ისარის“ ქუთათური კორესპონდენტი იწერებოდა, კიდეც შეიწყნარა ... შუამდგომლობა. მაგრამ დღემდის მათი დაბრუნება არა ჩანს. ზმა დადის, სანოვრები წავიდა მათზე და ... სინამდვილეს— ... მომავალი გვიჩვენებს. კვლავ შეაჭენებს ... მეორე სიამეც მოქცეულნი უნდა სანი თვე სოხუმში გაჩერონ, სანამ პირველი ჯგუფი მობრუნდება. Sch.

# რუსეთი

✦ **პოლიციის დეპარტამენტის დადგენილება.** რუსეთის გაზეთები იუწყებიან: პოლიციის დეპარტამენტმა დაადგინა გადაასახლოს ყველა ისინი, რომელნიც დაკავებულ იქნენ პირველ მაისის გაფიცვასა, დემონსტრაციებსა და მიტინგებში მონაწილეობისათვის.

✦ **გურკოს საქმე.** უკვე დასრულდა გურკოსა და ლიდვალის საქმის წინასწარი გამოძიება; საჭიროდ სცნეს სისხლის სამართალის. წესით პასუხის გებაში მისცეს შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე გურკო, რომლის საქმეს განიხილავს სახელმწიფო საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული სისხლის სამართლის განყოფილება, წოდებათა წარმომადგენლების დასწრებით. ლიტვინოვის პასუხის გებაში მიცემა უარყოფილია. დაადგინეს არ გადააყენონ სამსახურიდან გურკო და მისცენ სამართალში როგორც თანამდებობაში მყოფი მინისტრის ამხანაგი.

✦ **სამხედრო წესები და გაძლიერებული დაცვა.** „რუს. სლ.“-ს დეპეშით აუწყებენ პეტერბურგიდან, რომ იმ ადგილებში, სადაც გაძლიერებული დაცვის ვადა მაისსა და ივნისში უნდა დასრულდეს, იგი ჩვეულებრივი წესით განგრძობილ იქნება. სამხედრო წესების გაუქმების შესახებაც ივნისამდის არ აღძრავენ საკითხს; ივნისში უნდა გადაწყდეს საკითხი პეტერბურგში საგანგებო დაცვის განგრძობის შესახებ.

✦ **ფინლიანდიის ამბები.** გელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ ფინლიანდიის პოლიტიკური წრეები აღშფოთებულნი არიან ახალ სეიმში იმ კამათის გამო, რომელიც შეეხებოდა სრულიად რუსეთის ჯარების შესანახად 16 მილიონ მარკას გადადებას. ეს თანხა უნდა შეტანილ იქნას ფინლიანდიაში 1905 წ. გაუქმებულ სამხედრო ბეგრის მაგიერ. ფინლიანდიელები ამ ფულის გადახდას კონტრიბუციას უძახიან და ისევ ძველი წესის დაბრუნებას თხოულობენ: ფინლიანდიის საზღვრებში სამხედრო ბეგრის შემოღებას.

✦ **სამეურნეო მუშების გაფიცვები.** კიევის გუბერნიაში ამ ბოლო დროს ერთობ გახშირებულა სოფლად მემამულეთა ადგილებში სამეურნეო მუშების გაფიცვები. მუშები თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას თხოულობენ.

✦ **დეპუტატის დატუსაღება.** სააღდგომო დღესასწაულებში თავის სამშობლოში დაბრუნდა პეტერბურგიდან სხვათა შორის, კამენეც-პოდოლსკის დეპუტატი ტუპერკო. უკანასკნელს თვალყურს ადევნებდა ადგილობრივი ადმინისტრაცია და დაატუსაღა ხალხში აგიტაციის გამართვისათვის.

✦ **ნამდვილ რუსთა მიტინგი.** 25 აპრილს ქ. კამენეც-პოდოლსკში „რუსთა კავშირის“ წევრებმა კრება მოახდინეს. ორატორებად გამოვიდნენ სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატები—შულგინი და ეპისკოპოსი პლატონი. შულგინმა კრებაზე გამოაცხადა: თხუთმეტ მემარჯვენე დეპუტატს გადაწყვეტილი აქვთ დეპუტატობაზე ხელი აიღონ, თუ მთავრობა სათათბიროს არ დაშლის და თავის ტაქტიკას განაგრძობსო. ეპისკოპოსმა პლატონმა ილაპარაკა საარჩევნო კანონის შეცვლის საჭიროების შესახებ.

✦ **გარეშე სესხი.** პარიზის საფინანსო წრეები, „რუსკ. ვედ.“-ის სიტყვით, ერთობ დაფიქრებულნი არიან რუსეთის სესხის გამოლიან, თუ რა პირი გამოუჩნდება რუსეთში პურის მოსავალს და როგორ გამოირკვევა სახელმწიფო სათათბიროს მდგომარეობა.

# წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთს „ისარის“ მახლობელ ნომერში. ჯერ ისევ შარშაც ...

---

რად ადგენდნენ ხოლმე კონფედერაციებს და შინაურ საქმეებში სრულს დამოუკიდებლობის უფლებას იტოვებდნენ. იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ერთი სახელმწიფო მეორეს იპყრობდა, დამორჩილებულს ჩვეულებრივად ფართო თვითმმართველობის უფლებას აძლევდნენ შინაურ საქმეებში.

საწარმოვო ძალთა და ვაჭრობის განვითარებამ, სახელმწიფოს სამხედრო საჭიროებამ, სამხედრო ტეხნიკურმა გამოგონებამ და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვის საჭიროებამ სახელმწიფოს განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე აუცილებელი გახადა ცენტრალიზაცია. ახლად დაბადებულ კაპიტალიზმისთვის უფრო საჭირო იყო დაცვა და მშვიდობიანობა, ვიდრე ნატურალურ მეურნეობისთვის, რადგან ყოველნაირი მღელვარება, აჯანყება და ომი ძალიან აფერხებდა ხელოსნობისა და მრეწველობის განვითარებას.

ცოცხალსა და განვითარებულ ვაჭრობას სჭირია კარგი და მშვიდობიანი გზები, ათასნაირი მოწყობილება და თავისუფლება აღებ-მიცემობასა და გადატანგადმოტანაში. ასეთი მშვიდობიანობა უფრო მაშინ არის უზრუნველყოფილი, როცა სახელმწიფო ძლიერია, როცა მას კარგი ჯარი ჰყავს და მტკიცე ორგანიზაცია აქვს. როცა ესა თუ ის სახელმწიფო იმდენ ძალას მოიკრეფდა ხოლმე, რომ იჩენდა მუდმივ გაწვრთნილ ჯარს, ძლიერ მთავრობას, მუდმივ ფინანსიურ წყაროს, იგი ამით ან უბრალო უპირატესობას პოულობდა სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკურ ბრძოლაში, ან კიდევ იმორჩილებდა მათ და ახალ სავაჭროსამრეწველო ბაზარს იჩენდა.

ამ რიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაცია თავის დროზე აუცილებელი იყო, რომ იგი იყო შედეგი ბუნებრივ საზოგადოებრივ განვითარებისა და ზოგიერთ შემთხვევაში სასარგებლოც იყო კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებისთვის. მაგრამ ამასთან საჭიროა იმის გამორკვევაც, თუ რამდენად და როგორი ფორმებში იყო სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაცია საჭირო და აუცილებელი და როდის გადაიქცა იგი მავნე მოვლენად. ზემოდ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დიდ სახელმწიფოების სხვა და სხვა ნაწილებს სხვა და სხვა ეკონომიური და კულტური ელფერი ჰქონდათ: ზოგჯერ ასეთი სახელმწიფოები შესდგებოდნენ ისეთ ქვეყნებისგან, რომელნიც ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს თავიანთ მეურნეობით, კულტურითა და ეტნიურადაც; ზოგჯერ კი მათ შორის ამ მხრით დიდი განსხვავება იყო. გარდა ამისა, აგრეთვე დიდი განსხვავება იყო ასეთ დიდ სახელმწიფოებში გეოგრაფიულადაც და ყოველ მათ კუთხეს ჰქონდა საკუთარი პოლიტიკური და ისტორიული ელფერი. იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათი ჰქონდა სახელმწიფოს ორგანიზაციას და რანაირად იყვნენ შეკავშირებული სახელმწიფოს სხვა და სხვა ნაწილები, ცენტრალიზაცია იძლეოდა სხვა და სხვანაირ შედეგს. ზოგიერთ შემთხვევაში ცენტრალიზაცია პროგრესიული ფაქტორი იყო: შინაურ საბაჟოების გაუქმებამ და საერთო გარეგან საბაჟო საზღვრებისა და საზოგადო სავაჭრო წესდების შემოღებამ დიდი სარგებლობა მოუტანა სამეურნეო ურთიერთობის განვითარებას; იქ, სადაც მთელ სახელმწიფოს ყველა კუთხეში საზოგადოებრივი შენება ერთნაირად იყო განვითარებული და სადაც მხოლოდ ერთი ეროვნება მოსახლეობდა, საჭირო იყო შემოღება ერთნაირ სამოქალაქო და სისხლის სამართლის დებულებისა და ფინანსიურ სისტემისა, საჭირო და ადვილი იყო სახალხო განათლების მოწყობა ერთ გეგმაზე, ადმინისტრაციაში მთლიან ძირითად პრინციპების დამყარება და სხ., რადგან შედარებითი ერთფეროვნება მეურნეობისა, ეროვნებისა და კულტურისა აუცილებლად მოითხოვდა საერთო დაწესებულებების გაჩენას. სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვდა აგრეთვე ჯარის ერთფეროვნებას.

მაგრამ ასეთ ტიპის სახელმწიფოშიაც კი უკიდურესი ცენტრალიზმი ძალიან მავნე იყო, რადგან მას უეჭველად თან მოჰყვება ხოლმე ბიუროკრატიის თვითმპყრობელობა და ადმინისტრატიულის მხრით მავნე შაბლონი. ცენტრალიზაციის მავნებლობა ცხადად სჩანს არა მარტო თვითმპყრობელურ სახელმწიფოებში, არამედ იქაც, სადაც კონსტიტუციონური წესწყობილება სავსებით არის განხორციელებული. ამ აზრს ძალიან კარგად ამტკიცებს თანამედროვე რესპუბლიკანური საფრანგეთი, სადაც ბიუროკრატიას ძალიან დიდი ძალა აქვს და აფერხებს არა მარტო კერძო პიროვნების განვითარებას, არამედ თემისა, დეპარტამენტისა და მუნიციპალურ თვითმმართველობისასაც, თუმცა საფრანგეთში დიდი ხანია არსებობს პარლამენტალური წესწყობილება, რომელიც დამყარებულია საყოველთაო და თანასწორ საარჩევნო უფლებაზე.

(შემდეგი იქნება)

(1906 წ.) გაზეთ „ლამპრის“ მე-13, 26 და 30 ნომრებში და მერე გაზეთ „წინ“-ის მე-14 ნომერში (1907 წ.) მოთავსებულ კორესპონდენციებში სოფ. ველისციხიდან (სიღ. მაზ.) [illegible]

[illegible]

**დარჩო იმედა[illegible]**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 მაისი.

**ლონდონი.** [illegible] 24 ფუნტამდე. [illegible] 20,000 [illegible]

**ლონდონი.** რკინის გზების მოსამსახურეთა [illegible] 20,000 კაცი [illegible] 15,000 კაცი.

**პარიზი.** [illegible] 10,000 კაცი [illegible]

**პეტერბურგი.** ფინლიანდიის [illegible] 9 მაისს ფინლიანდიის [illegible]

[illegible] 1) [illegible] 2) [illegible] 3) [illegible]

[illegible] 8 წლით [illegible] 1 წლით [illegible]

**მოსკოვი.** პატრიარქა [illegible]

**მოსკოვი.** უნივერსიტეტში [illegible]

წყო. სტუდენტობა ნაკლებად დადის ლექციებზე.

გრადონაჩალნიკმა მიიწვია პიროგოვის კრების თავმჯდომარენი პროფესორები სალაზკინი და რეინი და გამოუცხადა, რომ კრება თავის დანიშნულებას გადასცილდაო.

2 მაისი.

**ვარშავა.** ვარშავის ლიტერატორთა და ჟურნალისტთა საზოგადო კრებამ შეიმუშავა უცხოელ პრესისთვის საინფორმაციო ბიუროს პროექტი. ბიუროს აზრად ექმნება ხელი შეუშალოს ჟურნალ-გაზეთებში პოლონელებსა და პოლონურ საქმეებზე ცრუ ხმების გავრცელებას. ბიუროს კასის თანხა 100 ათას მანეთამდე აღწევს.

**ელისავეტოგრადი.** ფაბრიკის მუშებმა კრება გამართეს. აზრადა აქვთ არტელი შეადგინონ და მიწის დამამუშავებელი მაშინები დაამზადონ. ამისთვის ფიქრობენ ერთ ქარხნის იჯარით აღებას.

**ომსკი.** საღამოთი ბოროტ-მოქმედებმა ამოხოცეს ვინინის ოჯახი, ოთხი სულისაგან შემდგარი. ეს ოჯახი ქალაქის შუაგულში სცხოვრობდა. მკვლელნი მიიმალნენ. იმავე დღეს მოჰკლეს ერთი მეეტლე.

**ლონდონი.** «დეილ მეილი» იუწყება, რომ ს.-დემოკრატებმა სხდომების გასამართავად ელლიტანში ეკკლესია დაიქირავესო, თუმცა ძლიერ სცდილობდნენ, რომ მათი სხდომები საიდუმლო ყოფილიყო, მაგრამ როცა შაბათს ეკკლესიაში მივიდნენ სხდომის გასამართავად, პოლიციის ინსპექტორი სერჟანტებით და პოლიციელებით იქ დახვდა. პოლიცია სხდომის დროს ადგილიდან არ დაძრულა. გაზეთი «მირონი» იუწყება: მაქსიმე გორკი იტალიიდან ჩუმად ინგლისში წავიდა, რომ იქ ს.-დემოკრატების სხდომებს დაესწროს. შეიკრიბა 330 რუსი ს.-დემოკრატი. სხდომები დღე და ღამე იმართება. კვირას სხდომას დაესწრო დეპუტატი ალექსინსკი, რომელმაც განაცხადა, რომ სათათბირო ახლა საჭირო აღარ არისო. სოციალისტ დეპუტატები დღეის შემდეგ იმას უნდა სცდილობდნენ, რომ როგორმე სათათბირო დათხოვნილ იქნესო.

**სან-რემო.** ხანგრძლივ წვიმის შემდეგ გოგირდის წვიმა წამოვიდა, რომელმაც ქუჩებში გოგირდის ტალახი ააყენა.

**ლონდონი.** 30 აპრილს ს.-დემოკრატების სხდომამ განიხილა მრავალი რეზოლიუცია, მათ შორის სხდომების ყველასათვის მოსასმენად გამართვის შესახებ. ამის შესახებ სხვა და სხვა აზრი წარმოითქვა. აზრადა აქვთ ერთი საჯარო კრება გამართონ. სურთ აგრეთვე გამოსცენ ხოლმე ყოველ დღე, სხდომის გათავების შემდეგ, მოკლე ანგარიში. პირველი საერთო სხდომა 1 მაისს მოხდება.

**ლოძი** 30 აპრილს ლიპკოვის და ლეშნოს ქუჩების კუთხეში მძიმედ დასჭრეს ერთი მუშა; ვიდზევსკის ქუჩაზე მოჰკლეს ერთი ქალი.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. საერო განათლების მინისტრმა ბრიანმა განაცხადა: ყოველ ჩემ მოქმედებისათვის პასუხს მე ვაგებო. დანარჩენი მინისტრებიც დაეთანხმნენ და სურვილი გამოსთქვეს, რომ მათზე მსჯელობა იქონიონ არა მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვების გამო, არამედ მათის ნამოქმედარის განსჯით. შრომის ფედერაცია, რომელიც ანარქისტების ხელშია, მუშათა, ბრიანის აზრით, სინდიკატების წარმომადგენლად ვერ ჩაითვლება მუშები სრულებით არ არიან დაინტერესებულნი, რომ დაარსონ სინდიკატი მოხელეებთან ერთად. მასწავლებელთა სინდიკატში 118,000 ათასი კაციდან მარტო 880 კაცი შევიდაო. მასწავლებელ ნეგრის საქმის შესახებ ბრიანმა განაცხადა, რომ სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო, თუ რომ ჩემ მოვალეობას არ ვუღალატებდიო. სიტყვის თქმის შემდეგ ბრიანს ყველა მემარცხენეებმა ტაში დაუკრეს. სხდომის განახლების შემდეგ ბრიანმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა, სადაც ის აზრი გაატარა, რომ შრომის ფედერაცია მოხელეებსაც იწვევს წევრებად და ამით საქმის გართულებას და არეულობას ჰქმნისო. მთავრობა გადაჭრით უარს აცხადებს მასწავლებელთა სინტიკატის შედგენის შესახებ და ნებას არ მისცემს, შედგეს ისეთი საზოგადოება, რომელიც მინისტრებს განზე დასტოვებს და პირდაპირ ხალხთან გააბამს ლაპარაკს. თუ პალატამ მთავრობის მოქმედება არ მოიწონა, მინისტრები სამსახურიდან გადადგებიან. ანარქიის დასამარცხებლად საჭიროა წეს-რიგი და დისციპლინაო. სხდომა დროებით შეაჩერეს, სანამ მემარცხენეთა დელეგაცია მორიგ საქმეებზე გადასასვლელ ფორმულას არ შეიტანს.

**პეტერბურგი.** 17 ოქტომბრის კავშირის დელეგატთა საიმპერიო კრება მოხდება 6 მაისს ქ. პეტერბურგში.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, პირველ მაისს ერთი დღით მუშაობა აღკვეთეს შემდეგ ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებ - სახელოსნოებში: ანანიევში, ასტრახანში, არხანგელსკში, ბერდიანსკში, ელისავეტოგრადში, ქერჩში, კოზლოვში, კოსტრომაში, ლიბავაში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ოდესაში, რიგაში, რომანოვში და ბორისოგლებში. ალაგ ალაგ მუშაობა აღკვეთეს შემდეგ 18 ქალაქში; ბათუმში, ვოლოგდაში, ეკატერინოსლავში, ვიევში, ქუთაისში, მარიუპოლში, მინსკში, ნიჟნი-ნოვგოროდში, პოლტავაში, რეველში, სამარაში, სიმბირსკში, სლავიანსკში, სიმფეროპოლში, სმოლენსკში, ხარკოვში, იუზოვკაში. ქალაქებში პირველმა მაისმა მშვიდობიანად ჩაიარა, წეს-რიგი არ დარღვეულა. ვლადივოსტოკსა, ზასლოვსა და სიმბირსკიდან ამბავი მოვიდა, რომ იქ ზოგიერთი მუშები, რომელნიც ამხანაგებს მუშაობიდან ძალით აგდებდნენ, დააპატიმრესო. მუშაობა სწარმოებდა შემდეგ ქალაქებში: დვინსკში, ივანოვო-ვოზნესენსკში, ყაზანში, კალუგაში, კიშინევში, შიშკინში, პავლოგრადში, ტულაში, ჩერნიგოვსა და იაროსლავში. პეტერბურგში ქარხანა-ფაბრიკაში მომუშავეთა ნახევარზე ნაკლები არ მუშაობდა. ტრამვაი და სტამპათა უმრავლესობა გაფიცული იყო.

**პეტერბურგი.** 1 მაისს ქალაქ გარედ მუშები მიტინგის გამართვას სცდილობდნენ, მაგრამ პოლიციამ აუკრძალა. ლესნოში პალიუსტროვოს გზისკენ შეკრებულ მუშებს ცხენოსანმა პოლიციელებმა წინადადება მისცეს დაშლილიყვნენ. ხალხიდან რევოლვერი გავარდა და ერთი პოლიციელი ბოიკოვი მძიმედ დაიჭრა. პოლიციელებმაც პასუხი გასცეს. ერთი მუშა დაიჭრა. მეორემ თავი მძიმედ დაიჭრა.

**მინსკი.** ღამე პოლიციამ ქალაქის შუაგულ პუშკინის ბიბლიოთეკის სადგომის ზემო-სართულში აღმოაჩინა ს.-რევოლიუციონერების საიდუმლო ბინა. დააპატიმრეს ორი კაცი. იპოვნეს ორი სასტამბო ჩარხი, შრიფტი, რევოლვერები და პატრონები.

**პეტერბურგი,** 1 მაისი. ტირაჟი მოგებათა სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ხუთ-პროცენტიან ქაღალდებისა. უმთავრესი მოგებანი: ორასი ათასი: სერია 13577; № 24; ხამოც-და-თხუთმეტი ათასი მანეთი: 9288/12; ორმოცი ათასი: 15944/8; ოც-და-ხუთი ათასი მან.: 10573/41; ათ-ათი ათასი მან.: 6852/9; 14122/38; 11747/7; რვა-რვა ათასი მან.: 10260/39; 2972/39; 11484/1; 8344/25; 13515/22; ხუთ-ხუთი ათასი მან : 13295/38; 6092/12; 2955/5; 2845/33; 13398/8; 13893/3; 11507/45; 9614/16. ათას-ათასი მ.: 5789/27; 9162/25; 3436/24; 12996/22; 14140/5; 14389/31; 2422/31; 2142/28; 15779/47; 4219/42; 9766/6; 11677/12; 5218/5; 2625/10; 3031/6; 5347/15; 901/28; 2809/7; 3019/14; 3310/11.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება წიგნის მაღაზიებში

„ბნელეთის ევოლიუცია

თაგვ-ეშმაკთ რევოლიუცია“.

პ. აკობიასი. ფასი 5 კაპ. (6—6—5)

## მხოლოდ 1 მ. 50 კ. ვყიდი

და თითქმის მუქთად ვაძლევ!!!

ძალზე საინტერესოა! ვუგზავნი მსურველს ფას-დადებით ბაჟის გასტუმრებით და გამოგზავნით უბეოდ იმ წამსვე, რა წამსაც წერილს მივიღებთ, 10 ცალს იუმორიულ ფოტოგრაფიულ სურათს, მეტად საგულისხმო (პიკანტნი) შინაარსისა. 10 ცალის ფასი 1 მ. 50 კ. 20 ცალი— 2 მ. 80 კ. ადრესი Y. Kaliski, Bruxelles rue de l'escalienr, 30. Бельгія.

ვინც ნარდად ბლომად იყიდის, 10⁰/₀-ს დაუკლებთ. მიწერ-მოწერა რუსულს ან გერმანულს ენაზე.

(10—№ 16—5) (Метцль и К⁰ № 15603)



## ყურადღება!!!

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აილონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დაზარალებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მსქოვ მაშინების „როსსია“-ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მე-3 საპ. ნაწილი, ტროიცკის ქუჩა, № 7, მთავარ ფოსტამტის მეზობლად. 9-დან 6 საათამდე ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა. (50—ქვ.—1)

## შემთხვევით

მალიან იაფათ

# იყიდება

სხვა და სხვა ფორმის ძეგლები და სასაფლაოს ქვები. ჩვეულებრივზე 50⁰/₀ ნაკლებად.

სახელოსნო ს. რიჩჩისა, მიხაილოვის ქუჩა, სახლი № 127. (10—ხაო.—9)

## მხოლოდ

იმის წყალობით რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და [illegible] უმაღლესს კულტურამდე [illegible] **კეფირი.** [illegible] რომ

# კეფირი

## ო. კორონისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძამეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—2) პატივ. **ო. კორონა.**



1—2 მან. აილებს მსურველი დღეში.

## საჭიროა

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

## პირველი კავკას. ამხანაგობა

მსწრაფლ მქ ოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ, д. 15, и 5. (100—71—2)



კომისიონერი მიწათ-მოქმედების და ახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი

## მ. ე. ფრიდონოვი

**ტფილისი, სერგიევის ქუჩა,** № 11.

აწვდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:

შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს“, საბერველებს, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.

შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ **„ხვრასთან“.** ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან“.** (50—751—36



# ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ნარდად შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარეთ დამზადებული. (100—22)